



With the support of the
Erasmus+ Programme
of the European Union



კავკასიის სამართლის სკოლა
CAUCASUS SCHOOL OF LAW



კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY



ევროკავშირის სამართალი და ასოცირების შეთანხმება
(ტრენინგის მოდული)

ეკატერინე ქარდავა

Project N° 619948-EPP-1-2020-1-GE-EPPJMO-PROJECT

2021

@კავკასიის უნივერსიტეტი
@ავტორი

ტრენერი და ტრენინგის მოდულის ავტორი ეკატერინე ქარდავა

სამართლის დოქტორი (თსუ), ჟან მონეს პროფესორი, შრომის სამართლისა და ევროკავშირის შრომის სამართლის სპეციალისტი; ასოცირების შეთანხმების, სამართლებრივი აპროქსიმაციისა და ევროპული ინტეგრაციის სპეციალისტი.

საქმიანობა კერძო სექტორში:

✓ **7 წელი - პროექტების წერა, პროექტების მართვა და კოორდინაცია:** თანაავტორი და შინაარსის შემქმნელი სატელევიზიო გადაცემების ციკლისა „ევროპის დროით“ (კონრად ადენაუერის ფონდის მხარდაჭერით); პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი „ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლო პრაქტიკა და ქართული შრომის სამართალი“ (ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით). Jean Monnet Modul-ის „აღმოაჩინე ევროკავშირი ასოცირების შეთანხმებაში“ ავტორი და კოორდინატორი (გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი); Jean Monnet Project-ის „ევროკავშირის სამართლებრივი სახე“ პროექტის ავტორი და თანაკოორდინატორი (კავკასიის უნივერსიტეტი); Jean Monnet Project-ის „ევროპული სწავლების სამკუთხედი“ თანაავტორი და ექსპერტი.

✓ **10 წელზე მეტი - ექსპერტი, მკვლევარი, ტრენერი:** თემატური მიმართულებები - AA/DCFTA, შრომის სამართალი, შრომითი მიგრაცია, მომხმარებელთა უფლებები, საჯარო სამსახური, დისკრიმინაცია, ევროპული ასოცირება და საქართველო, საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები; საერთაშორისო ორგანიზაციები ანდა არასამთავრობო ორგანიზაციები - KAS, FES, CSRDG, PMCG, GIZ, ICMPD, USAID/G4G, GGI, EU-NATO Info Centre, IOM და სხვა.

საქმიანობა საჯარო სამსახურში - 21 წელი

✓ **3 წელი საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, 2014-2017**

მრჩეველი ევროკავშირისა და სამართლებრივი აპროქსიმაციის საკითხებში, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ევროკავშირის სამართლის სამმართველოს უფროსი, ანალიტიკური სამმართველოს უფროსი, VLAP-ის უწყებთაშორისო სამუშაო ჯგუფის წევრი, ასოცირების კომიტეტის წევრი (ვაჭრობის საკითხებზე), კონტრასიგნაციისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების საკითხებში მრჩეველი.

✓ **9 წელი საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტში, 2004-2013**

4 სამსახურებრივი დაწინაურება, 2 დაწინაურება საკლასო ჩინში, 3 ოფიციალური მადლობა; ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის აპარატის უფროსი; მთავარი სპეციალისტი და საკანონმდებლო საქმიანობის/აპროქსიმაციის კოორდინაცია, ანალიტიკური და შედარებითსამართლებრივი საქმიანობა, ევროკავშირის სტრუქტურებთან (ძირითადად ევროპარლამენტთან) ურთიერთობა, EURONEST PA, PCC-ის დოკუმენტაციაზე მუშაობა, სტრატეგიული დაგეგმვა.

✓ **8 წელი პარლამენტის თავმჯდომარის სამდივნოსა და ავბაზეთის პრობლემების მოწესრიგების დროებით კომისიაში, 1996-2003**

3 დაწინაურება, კონფლიქტის მოწესრიგების დოკუმენტაციაზე მუშაობა.

აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობა - 17 წელი

✓ **ლექციები:** ევროკავშირის სამართალი, სამოხელეო სამართალი; შრომის სამართალი, შედარებითი შრომის სამართალი; ასოცირების შეთანხმება და სამართლებრივი აპროქსიმაცია;

✓ **20-ზე მეტი სამეცნიერო სტატია, ბროშურა და წიგნი.** სამართლებრივი აპროქსიმაციის სახელმძღვანელოს ავტორი და კურიკულუმის „ასოცირების შეთანხმება და სამართლებრივი აპროქსიმაცია“ ავტორი.

მიმდინარე საქმიანობა

კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული (აფილირებული) პროფესორი; გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი; აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტისა და თსუ-ის მოწვეული ლექტორი; კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი; ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ტრენერი; Erasmus+ Jean Monnet Activities პროექტების ფარგლებში კოორდინატორი, თანაკოორდინატორი, ექსპერტი; ასოციაციის „ევროპის დროით“ თავმჯდომარე.

სარჩევი

1. ტრენინგის მიზანი	2
2. ტრენინგის ამოცანები.....	2
3. ტრენინგის ჩატარების მეთოდი	2
4. ტრენინგის ხანგრძლივობა	3
5. სამიზნე ჯგუფი.....	3
6. ტრენინგის მასალები	3
7. ტრენინგის ლოჯისტიკური მხარე	4
8. ტრენინგის დაწყება, მსვლელობა და პროცედურა.....	4
9. ტრენინგის შინაარსი:.....	5
9.1. ასოცირების შეთანხმება, როგორც განსაკუთრებული და უნიკალური საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება.....	5
9.2. ევროკავშირის სამართლის სისტემა, წყაროები, იერარქია	5
9.3. ასოცირების შეთანხმების სტრუქტურა, სისტემური ორგანიზება.....	6
9.4. ევროკავშირის შიდა ბაზრის ცნება, ოთხი თავისუფლების პრინციპი და საქართველო-ევროკავშირის შორის იმპორტ-ექსპორტის რეჟიმის სამართლებრივი მოწესრიგება	7
9.5. მდგრადი განვითარების ცნება ასოცირების შეთანხმებაში.....	8
9.6. შესაბამისობის ცხრილი.....	8
9.7. ასოცირების შეთანხმების შესრულებისა და ევროკავშირის კანონმდებლობის საქართველოში გამოყენების პრაქტიკული მაგალითები	8
10. წყაროები	9

1. ტრენინგის მიზანი

ტრენინგი ხორციელდება ევროკომისიის დაფინანსებით Erasmus+ პროგრამის Jean Monnet Project-ის „ევროკავშირის სამართლებრივი სახე“ (LFEU) ფარგლებში. ამ პროექტის ერთ-ერთი მიზანია ტრენინგების ციკლის ორგანიზება კავკასიის უნივერსიტეტში სამართლის სხვადასხვა მიმართულებით. ერთ-ერთი სატრენინგო სფეროა „ევროკავშირის სამართალი და ასოცირების შეთანხმება“. სატრენინგო სწავლება ხელს შეუწყობს ევროკავშირის შესახებ სწორი ინფორმაციის გავრცელებას, ევროკავშირის სამართლის საქართველოს საკანონმდებლო/კანონშემოქმედებით საქმიანობაში მართებულ გამოყენებასა და ასოცირების შეთანხმების შესრულების კონცეპტუალურ გააზრებას, საქართველოს სამართლებრივი დაახლოების (აპროქსიმაციის) ურთიერთობების პოპულარიზებას, ევროპული სწავლების განვითარება-გამლიერებას.

ტრენინგის „ევროკავშირის სამართალი და ასოცირების შეთანხმება“ მიზანია ევროპული ასოცირების და სამართლებრივი დაახლოების პროცესის ხელშეწყობა.

2. ტრენინგის ამოცანები

ტრენინგის ამოცანებია:

- ასოცირების შეთანხმების თაობაზე ცნობიერების ამაღლება და ცოდნის გავრცელება ფართო სამიზნე აუდიტორიასთან;
- ევროკავშირის სამართლის სწავლება და ამ ცოდნის მნიშვნელობის დანახვა ასოცირების შეთანხმების ფარგლებში;
- სამართლებრივი აპროქსიმაციის სტადიების განმარტება და მათი პრაქტიკული დანიშნულების შემეცნება.

3. ტრენინგის ჩატარების მეთოდი

ტრენინგის ფარგლებში განხორციელდება ტრენინგის დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხებზე ტრენინგის მხრიდან თეორიული მსჯელობა და ცოდნის გადაცემა, საქართველოს შრომის კოდექსისა და ევროკავშირის შრომის კანონმდებლობის დებულებების აღწერა და ინტერპრეტაცია; აგრეთვე, - კონკრეტული ქეისების წარდგენა აუდიტორიისათვის და მონაწილეთა ჩართულობით მათი შეფასება.

ტრენინგი გამოიყენებს პრეზენტაციის/აქტიური ლექციის, დისკუსიის/ინტერაქციის, case study-ის მეთოდებს;

ხაზგასასმელია ფაქტი, რომ ტრენინგი ორგანიზებული იქნება იმგვარად, რომ მაქსიმალურად იყოს ბალანსირებული შინაარსობრივი/ნორმატიული ინფორმაციის

მიწოდება-გადაცემა და პრაქტიკული შემთხვევების შეფასება-განხილვა. გამოყენებული იქნება ჯგუფური მუშაობა.

ტრენინგის მსვლელობისას უზრუნველყოფილი იქნება მონაწილეთა ჩართულობა (რეპლიკების, კომენტარის, დამაზუსტებელი შეკითხვებისა და შეფასებითი მოსაზრებების წარმოდგენის სახით).

ტრენინგის მსვლელობისას, თითოეული სესიის დასრულებამდე 5-10 წუთი დაეთმოა დისკუსიას/ინტერაქციას, კითხვებზე პასუხის გაცემას.

ტრენინგის თემატიკას მიუკუთვნებელ საკითხებზე ინტერესის გამოჩენისას ან შეკითხვების დასმისას, ტრენერი დელიკატურად მიმართავს მონაწილეებს და აუხსნის, რომ ტრენინგის ხანგრძლივობა ზღუდავს მათ ახსნან სხვა საკითხები, თუმცა, მაქსიმალურად ეცდებიან უპასუხონ ტრენინგის ბოლოს, დღის დასრულებისას.

4. ტრენინგის ხანგრძლივობა

ტრენინგი ითვალისწინებს ერთდღიან მუშაობას. იგი იწყება 10.00 საათზე და სრულდება 18.00 საათზე; გათვალისწინებულია შესვენებები.

5. სამიზნე ჯგუფი

ტრენინგის სამიზნე ჯგუფია პროფესიული საზოგადოება, კერძოდ, საჯარო მოხელეები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები (განსაკუთრებით სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტები).

ტრენინგის შესახებ კავკასიის უნივერსიტეტის ტრენინგ ცენტრი წინასწარ აცხადებს ინფორმაციას და აყალიბებს მონაწილეთა სიას.

ტრენინგის მონაწილეთა რაოდენობა - 45 პირი.

ტრენინგი უფასოა.

6. ტრენინგის მასალები

ტრენინგის მასალებია ტრენერის პრეზენტაციები; იმ სამართლებრივი მუხლების ნაკრები (ასოცირების შეთანხმებიდან), რომელთა განხილვა-განმარტება განხორციელდება ტრენინგის ფარგლებში; საქართველოს საკანონმდებლო აქტების

ჩამონათვალი; ოფიციალური ვებ-გვერდები და საინფორმაციო ლინკები, ჰენდაუთები (საჭიროებისას).

7. ტრენინგის ლოჯისტიკური მხარე

უზრუნველყოფილი იქნება პრეზენტაციის ვიზუალიზაცია, კერძოდ, პრეზენტაციების ჩვენება ეკრანზე; დაფა და მარკერები; ინტერნეტთან წვდომა; მონაწილეებისთვის დარიგდება ფურცლები და კალმები.

უზრუნველყოფილი იქნება თითოეული მონაწილის სახელისა და დასაქმების ადგილის დემონსტრირება (ფურცელი მაგიდაზე).

8. ტრენინგის დაწყება, მსვლელობა და პროცედურა

ტრენინგის გახსნა განხორციელდება ტრენერის მიერ, რომელიც მოკლედ მიაწოდებს შემდეგ ინფორმაციას მონაწილეებს:

- *Jean Monnet Project-ის შესახებ*
- *ტრენინგის მიზნებისა და ამოცანების შესახებ.*
- *ტრენინგის დღის წესრიგი და ტრენინგისთვის საკითხების შერჩევის საფუძვლების შესახებ.*
- *ტრენერ(ებ)ის შესახებ.*

ტრენინგის თემატურ ნაწილზე გადასვლისას 30 წუთი დაეთმობა:

ევროკავშირის, როგორც ზენაციონალური და განსაკუთრებული საერთაშორისო სუბიექტის დახასიათებას.

9. ტრენინგის შინაარსი:

9.1. ასოცირების შეთანხმება, როგორც განსაკუთრებული და უნიკალური საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება

ასოცირების შეთანხმება საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებაა, რომლის ფარგლებში საქართველო ვალდებულია დაუახლოვოს საქართველოს კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობას, განახორციელოს პოლიტიკური ასოცირება და ღრმა ეკონომიკური ინტეგრაცია. ასოცირების შეთანხმების ნაწილია „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ“ შეთანხმება (DCFTA).

საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლმა განსაზღვრა და დაადგინა, რომ ყველა კონსტიტუციური ორგანო ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს იმგვარად, რომ ხელი შეუწყოს საქართველოს სრულ ინტეგრაციას ევროკავშირში.

ასეთი პოლიტიკური და სამართლებრივი დღის წესრიგის პირობებში, არსებითად მნიშვნელოვანი ხდება ცოდნა ევროკავშირის სამართლისა და ასოცირების შეთანხმების შესახებ.

ასოცირების შეთანხმება განსაკუთრებულია სპეციფიკური ბუნების ნიშნებისა და მახასიათებლების გათვალისწინებით: მასზე ტრადიციულად ვერ ვრცელდება „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის დანაწესები; მასში ცვლილებების პროცედურა განსხვავებულია საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებისგან; მისი ტერიტორიული გამოყენების პრინციპები უპრეცედენტოა; მასში მონაწილეობს არა მხოლოდ ევროკავშირი და საქართველო, არამედ ევროკავშირის 27 წევრი სახელმწიფო (ბრიტანეთი გავიდა) და ევრატომი; მისი პოლიტიკური ნაწილი არ ითხოვს ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებას, თუმცა DCFTA-ის ნაწილი (სავაჭრო ნაწილი) სრულად ეფუძნება სამართლებრივი აპროქსიმაციის მექანიზმს.

9.2. ევროკავშირის სამართლის სისტემა, წყაროები, იერარქია

- ევროკავშირის პირველადი კანონმდებლობა - დამფუძნებელი ხელშეკრულებები (TEU; TFEU; EURATOM)
- ევროკავშირის მეორეული კანონმდებლობა: საკანონმდებლო აქტები (მზოჭავი და სავალდებულო) და არასაკანონმდებლო აქტები (არასავალდებულო):

ევროკავშირის დირექტივა

ევროკავშირის რეგლამენტი

ევროკავშირის გადაწყვეტილება

ევროკავშირის რეკომენდაცია

ევროკავშირის პოზიცია

- ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო გადაწყვეტილებები

9.3. ასოცირების შეთანხმების სტრუქტურა, სისტემური ორგანიზება

ასოცირების შეთანხმება დადებულია 25 ენაზე. შეთანხმების ხელმოწერია 30 სუბიექტი (ასოცირების შეთანხმების მხარეთა სიმრავლის ახსნა და ევროკავშირის კომპეტენციათა სისტემა).

ასოცირების შეთანხმება შედგება 8 კარისგან, 34 დანართისა და 4 ოქმისაგან. ასოცირების შეთანხმება სამ სვეტად არის ორგანიზებული: 1. პოლიტიკური ასოცირება; 2. სავაჭრო-ეკონომიკური დაახლოება; 3. დაახლოების სხვა სფეროები.

ასოცირების შეთანხმება სრულად ძალაში შევიდა 2016 წელს, თუმცა ასოცირების შეთანხმების 431-ე მუხლისა და ნოტიფიკაციის ტექსტის საფუძველზე, ვალდებულებების უმრავლესობის შესრულების ათვლის წერტილია 2014 წლის 1 სექტემბერი.

ასოცირების შეთანხმებით აღიარებულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, თუმცა ასოცირების შეთანხმების ტერიტორიული მოქმედების პრინციპის თანახმად, მისი გამოყენება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ საქართველოს ხელისუფლება მოიპოვებს სრულ კონტროლს ამ ტერიტორიებზე.

ასოცირების შეთანხმება ითვალისწინებს ევროკავშირის კანონმდებლობასთან აპროქსიმაციას და არა ჰარმონიზაციას. არსებობს დაახლოების (აპროქსიმაციის) ორი სახე: ეტაპობრივი და დინამიური; არსებობს სამართლებრივი აპროქსიმაციის 3 სტადია: ევროპული სტანდარტების ასახვა ქართულ კანონმდებლობაში; ევროპული სტანდარტების ასახვა ქართულ პრაქტიკაში (შესრულება); ევროპული სტილის ადმინისტრაციული პრაქტიკის შექმნა და ჯანსაღი პრაქტიკის დამკვიდრება (აღსრულება პასუხისმგებლობის ელემენტებით).

შექმნილია ევროკავშირისა და საქართველოს შორის დიალოგის ფორმატები სამთავრობო დონეზე, საპარლამენტო დონეზე, სამოქალაქო საზოგადოების დონეზე;

საპარლამენტო თანამშრომლობა წარმოადენს ფორუმს და ამ სივრცეში არ მიიღება სავალდებულო ხასიათის გადაწყვეტილებები; ასოცირების შეთანხმების ფარგლებში სავალდებულო გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ სამთავრობო დონე.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების სხვადასხვა მეთოდი გამოიყენება. საინტერესოა, რომ დასაშვებია copy-paste (მაგალითად ევროკავშირის რეგლამენტებთან დაახლოებისას).

9.4. ევროკავშირის შიდა ბაზრის ცნება, ოთხი თავისუფლების პრინციპი და საქართველო-ევროკავშირის შორის იმპორტ-ექსპორტის რეჟიმის სამართლებრივი მოწესრიგება

DCFTA-ის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია ევროკავშირისა და საქართველოს შორის საქონლის, მომსახურების, კაპიტალის გადაადგილების თავისუფლების უზრუნველყოფა.

DCFTA შეღავათიან სავაჭრო ვითარებას (საბაჟო ვალდებულებებისგან გათავისუფლებას) სთავაზობს საქართველოში წარმოშობილ პროდუქტს. ამდენად, მნიშვნელოვანია „საქონლის ეროვნულობის“ დადგენა.

DCFTA არის ასოცირების შეთანხმების ის ნაწილი, სადაც ყველაზე დიდი მოცულობით არის შესასრულებელი სამართლებრივი აპროქსიმაციის ვალდებულებები (რეგულატორული დაახლოება).

9.5. მდგრადი განვითარების ცნება ასოცირების შეთანხმებაში

DCFTA-ის ნაწილში წარმოდგენილია სამი მიზნის ერთობლიობის, ურთიერთდაუზიანებლობისა და ურთიერთკორელაციაში განვითარების მნიშვნელობა: სავაჭრო-ეკონომიკური მიზანი, შრომისა და სოციალური დაცვის მიზანი, გარემოსდაცვითი მიზანი.

მდგრადი განვითარების პოლიტიკა ამავდროულად, მოითხოვს ინვესტორებისა და ინვესტიციების მიმართ დაცვის დონის შენარჩუნებას.

9.6. შესაბამისობის ცხრილი

საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება ითხოვს ახალი საკანონმდებლო ტექნიკის გამოყენებას. **შესაბამისობის ცხრილი** წარმოადგენს აპროქსიმაციის ინსტრუმენტს, რომელიც იძლევა დაახლოების დონეების შემოწმებისა და ანალიზის შესაძლებლობას.

დაახლოების/აპროქსიმაციის პროცესში მნიშვნელოვანია ევროკავშირის კანონმდებლობის ქართულ ენაზე ზუსტი თარგმანი.

9.7. ასოცირების შეთანხმების შესრულებისა და ევროკავშირის კანონმდებლობის საქართველოში გამოყენების პრაქტიკული მაგალითები

თამბაქოს კონტროლის პოლიტიკა

მარჯვენასაჭიანი მანქანები

გენმოდირებული პროდუქტების პოლიტიკა

და სხვა.

10. წყაროები

- საქართველოს კონსტიტუცია
- ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 27.06.2014, <https://matsne.gov.ge/document/view/2496959?publication=0>
- „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი
- საქართველოს მთავრობის 186-ე განკარგულება, 07.02.2014
- ქარდავა ე., ასოცირების შეთანხმების, როგორც საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების, ადგილი ეროვნულ სამართალში, შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 2/2021, თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, IRZ (საერთაშორისო თანამშრომლობის ფერმანული ფონდი), 2021.
- ქარდავა ე., „საქართველოს შრომის სამართლის რეფორმა ევროპული ინტეგრაციისა და ასოცირების შეთანხმების მოთხოვნათა კრილში“, თსუ, 2018. http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Eka%20Kardava.pdf
- ევროპული ასოცირების პროცესი საქართველოში (ქარდავა ე., ჭელიძე გ., ბრაგვაძე ზ), სახელმძღვანელო ისტორიისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგებისათვის, კავკასიის უნივერსიტეტი, 2020, <https://cu.edu.ge/files/gallery/Grant%20Projects/2020/broshura-geo-Bolo.pdf>
- Kardava E., Associate Agreement – the Unique International Treaty with the Exceptional Character, European Community Studies Association (ECSA), Moldova Journal "European Studies", #13, Chişinău ((Journal is national included in CEEOL).
- ქარდავა ე., სამართლებრივი დაახლოება - სახელმძღვანელო პრინციპები, საჯარო მოხელის სამაგიდო წიგნი, ასოციაცია „ევროპის დროით“, ფრიდრიხ ებერტის ფონდი, საქართველოს პარლამენტი, თბილისი, 2017.

- ქარდავა ე., DCFTA-ის მნიშვნელობა ევროპასთან ასოცირების პროცესში, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე, თბილისი, 2017
- ქარდავა ე., ასოცირების შეთანხმება - სპეციფიკური ნიშან-თვისებების მქონე განსაკუთრებული საერთაშორისო ხელშეკრულება, სერგო ჯორბენაძის საიუბილეო გამოცემა - სერგო ჯორბენაძე 90, 2019, გვ. 168-203,
- ქართული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების სახელმძღვანელო, 2019 (დამტკიცებულია მთავრობის მიერ 2020 წლის 30 იანვარს 184 დადგენილებით).
- *Kardava E*, Law-making and Law Enforcement Specificities in Post-Soviet Georgia on the example of Labour law, Transformation of Post-Soviet Countries and European Identity, Institute of Post-Soviet Studies, SABAUNI, Journal of Post-Soviet Studies, Vol.1, No.1, pp.83-94.
- ქარდავა ე., ევროპასთან ასოცირების პროცესის ხელშეწყობის ღონისძიებების თაობაზე - კონცეპტუალური ხედვა, ფინანსთა სამინისტროს აკადემია, 2018, <http://mofacademy.ge/4267>
- ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის შესრულების წლიური ეროვნული სამოქმედო გეგმები და მათი შესრულების ანგარიშები (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერდი).
- ევროკომისიის ყოველწლიური ანგარიშები საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების შესრულების თაობაზე
- ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლო პრაქტიკა